



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030452103621617

04-323/ო

16 / მაისი / 2017 წ.

С ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, С ჰეპატიტით დაავადებულ პირთა С ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფის მიზნით შესყიდული და ასევე დონორული მხარდაჭერით მიღებული მედიკამენტების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ღონისძიების გატარების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული „С ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 15 მაისის N01/30327 წერილის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. განხორციელდეს „С ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“, მკურნალობის კომპონენტის - „С ჰეპატიტით დაავადებულ პირთა С ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფის“ ფარგლებში, სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ პროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიმწოდებლისთვის (შემდგომში – მიმწოდებელი) გადაცემული მედიკამენტების მონიტორინგი, ამავე სერვისის მიმწოდებელთან არსებული მარაგების შემოწმების მიზნით.

2. დამტკიცდეს მონიტორინგის აქტის ფორმა (დანართი N1).

3. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის სააგენტოს სახელით განხორციელების უფლება მიენიჭოთ:

ა) თამარ კავთელაძეს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის С ჰეპატიტის მართვის სამმართველოს უფროსს;

ბ) ალექსანდრე ტაბიძეს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროს სპეციალისტს (მიმაგრებული ამავე დეპარტამენტის С ჰეპატიტის მართვის სამმართველოში);

გ) მარიამ რამიშვილს – სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს (მიმაგრებული ამავე დეპარტამენტის С ჰეპატიტის მართვის სამმართველოში);

დ) ირმა ჩხარტიშვილს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის С ჰეპატიტის მართვის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს;

ე) სოფიო გაბრიამეს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის C ჰეპატიტის მართვის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს;

ვ) ნანა აბუსერიძეს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის C ჰეპატიტის მართვის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს;

ზ) მერაბ შველიძეს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის C ჰეპატიტის მართვის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს;

თ) თამარ ყიზილაშვილს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის C ჰეპატიტის მართვის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს;

ი) მია პატარაიას – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის C ჰეპატიტის მართვის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს;

კ) ირმა ვიბლიანს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის C ჰეპატიტის მართვის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს;

ლ) ლელა ვაშაყმაძეს – სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის C ჰეპატიტის მართვის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს.

4. წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა, ამავე პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება შესაძლებელია განახორციელონ როგორც ერთობლივად, ჯგუფურად (2, 3 და ა.შ. პირის შემადგენლობით) და/ან ინდივიდუალურად (ცალ-ცალკე).

5. ამ ბრძანებით გათვალისწინებული მონიტორინგის პირობებს განსაზღვრავს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, რომელიც, მოქმედი სამართლებრივი აქტების (პროგრამა და ა.შ.) გათვალისწინებით, წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)ს აძლევს მითითებებს განსახორციელებელი მონიტორინგის თარიღის და მათი რაოდენობის (არაუმცირეს წელიწადში ერთხელ მანჯ) შესახებ.

6. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული მონიტორინგი ხორციელდება ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირ(ებ)ის მიმწოდებელთან ვიზიტის დროს. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელი შეუწყოს მონიტორინგის განმახორციელებელ პირ(ებ)ს, მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია და/ან დოკუმენტი, რაც უკავშირდება მის საქმიანობას და შეუფერხებლად დაუშვას იმ ფართზე, სადაც ინახება/განთავსებულია მედიკამენტები.

7. მონიტორინგის განმახორციელებელი ვალდებულია, შეადგინოს მონიტორინგის აქტი 2 (ორი) ეგზემპლარად, ამავე ბრძანებით დამტკიცებული მონიტორინგის აქტის (დანართი N1) ფორმის შესაბამისად. აქტის 1 (ერთი) ეგზემპლარი რჩება მიმწოდებელთან და ერთი ინახება სააგენტოში. აქტს ხელს აწერენ მონიტორინგის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და მიმწოდებლის წარმომადგენელ(ებ)ი.

8. მონიტორინგის აქტის შემდგენი პირ(ებ)ი ვალდებულია, მიმწოდებელი გააფრთხილოს იმის თაობაზე, რომ აქტში დაფიქსირებული C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების რაოდენობა გათვალისწინებული იქნება C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დარეგისტრირებული და „C ჰეპატიტის მართვის პროგრამის მკურნალობის კომპონენტში პაციენტთა ჩართვის უფლების განმსაზღვრელი კომისიის“ მიერ პროგრამის მკურნალობის კომპონენტში ჩართული პაციენტებისათვის, მკურნალობის რეჟიმების გათვალისწინებით, ანალოგიური საშუალებების მიწოდების დროს.

9. დაევალოს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს (ვ. ჩხარტიშვილი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი მიმწოდებლებისათვის.

10. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

ც ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ც ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ც ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფის მიზნით შესყიდული და ასევე დონორული მხარდაჭერით მიღებული და მიმწოდებლისთვის გადაცემული მედიკამენტების

მონიტორინგის აქტი № —

მონიტორინგის აქტის შედგენის თარიღი: _____

მონიტორინგის აქტის შედგენის ადგილი: _____

მონიტორინგის ჩამტარებელი პირ(ებ)ი: _____

მონიტორინგს ესწრებოდა: _____

მონიტორინგის საგანი:

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ “ც ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში, ც ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ც ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფის მიზნით შესყიდული და ასევე დონორული მხარდაჭერით მიღებული და პროგრამით გათვალისწინებული სერვისის მიმწოდებლისთვის გადაცემული მედიკამენტების მონიტორინგი, ამავე დაწესებულებებში არსებული მარაგების შემოწმების მიზნით.

მონიტორინგის ობიექტი:

ც ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტი

	მედიკამენტის დასახელება	სერია	ბარკოდი	მოქმედების ვადა	პროგრამული ნაშთი ტაბ/ფლაკონი/შპრიცი-კალამი	ფიზიკური ნაშთი ტაბ/ფლაკონი/შპრიცი-კალამი	შენიშვნა
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							
9							
10							
11							
12							
13							

14							
15							
16							
17							
18							

მონიტორინგის საფუძველი:

- C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით უზრუნველყოფის მიზნით შესყიდული და ასევე დონორული მხარდაჭერით მიღებული მედიკამენტების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების გატარების შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის ___ _____ N _____/ო ბრძანება;

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა:

მონიტორინგის განმახორციელებელი
 უფლებამოსილი პირ(ებ)ი _____
 ბ.ა _____

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების
 მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი
 _____ ბ.ა _____